


1993

ISSN 0132-6015



# საბრძოლო

აღს თუ ავი არ ვუწოდო, ქარხანაში  
კარგს სასწულად რა დაგარქო?

საბრძოლო და იუმორის ქარხანა

136 / 2  
1993



- ქარხანა მუშაობს?  
- ქარხანა არ მუშაობს, მარა ჩვენ ვმუშაობთ: ვან-  
გრევეთ, ვიპარავთ და ვყიდით!

ნახ. შ. აბაშიძისა



# არქონი ზახია, ახითურქოქანი ზახია!

რაც კარგები ვართ,  
ქართველები ვართ,  
კარგი ჭამისგან ჯანმრთელები ვართ,  
გვიყვარს ლხინი და ცეკვა-თამაში,  
არაფერია ცუდი ამაში,  
მხოლოდ ეგ არის, ნაკლი გვაქვს ერთი,  
რისთვისაც ბევრჯერ გავვიწყრა ღმერთი,  
ფეხზე გვკიდია ქვეყნის ერთობა,  
გვსიბღავს სკამი და პრეზიდენტობა.

ნიკოლოზ იოსებიაძე

- სად მივაქვს ეს პენზინი?
- მეზობლის ხახლს უნდა გადავასხა და დავწვა.
- თუ 93-ანია, გამიცვალე, 76-ანიც კარგად დაწვავს ხახლს!

# ახითურქოქანი მიტურქოქანი

## მინიატიურა


შევიღვარ ექიმის კაბინეტში.  
- ჩქარა, ჩქარა, კარი მიხურეთ, გამკრავი ქარია, რადიკულიტი მაქვს! - მომამახა ექიმმა და ხელი წელზე იტაცა.  
- მარო, ერთი პენტალგინი მომეცი, მკლავს თავის ტკივილი! - მიუბრუნდა ექიმი ექთანს და წამალი დალია.  
- უშანგ! სათბური სადაა? კუჭმა შემომიტია... ამ წნევამ ზომ გამათავა კაცი და ესაა... ორი დღეა, მუხლები მტკივია, ნამდვილად ვაწვიმდება, სომ იცი შენ... დედა, დედა, რა სუსტი არსებია ადამიანი! - დაასკვნა ბოლოს ექიმმა და ჩემკენ მოიხედა.  
იქ აღარ ვიყავი.



ნახ. ა. ლოლუასი

თემა 6. იოსებიაძისა

20.275



- რაღა მაინცდამაინც აგურ პურს ყიდულობ? - ეს პური პურად არ ვარგა და აგურად ვხმარობ!

# სახსოვარი

ერთი ფერმერს მეპურისათვის ყოველდღე ჩამო-  
ჰქონდა კარაქი სოფლიდან. ერთხელ მეპურე რატომღაც  
დაეჭვდა, კარაქი აწონა და ნახა, რომ წონაში აკლდა. ამ-  
ჯერად ფერმერს არაფერი აგრძობინა, მაგრამ მას შემ-  
დეგ კარაქს სისტემატურად წონიდა და ამკარად ხედავდა,  
რომ ფერმერი წონაში ატყუებდა. ბოლოს ძალიან გაბრაზ-  
და და ფერმერს სასამართლოში უჩივლა. როდესაც ორი-  
ვენი მოსამართლის წინაშე წარდგნენ, მან ფერმერს  
ჰკითხა:

- სასწორი თუ გაქვს?
- დიახ, ბატონო!
- საწონები?
- საწონები არა მაქვს.
- კი მაგრამ, მაშინ როგორღა წონიდი კარაქს?
- ოჰ, ძალიან ადვილად, მეპურისაგან ვყიდულობდი

პურს და მერე ამ პურს საწონის მაგივრად ვიყენებდი.  
ასე რომ, თუ წონა სწორი არ გამოდიოდა, ეს უკვე მეპურ-  
ის ბრალია და არა ჩემი.

\*\*\*

ერთმა მსუქანმა, ზონზრობა მამაკაცმა მღვდლის  
კარზე ზარი დარეკა და ფოფოღა იკითხა. ეს ფოფოღია  
იმ არემარეში თავისი გულკეთილობით და ქველი საქმე-  
ებით იყო ცნობილი.

- ქალბატონო, - ნაღვლიანი ხმით დაიწყო ზონზრო-  
ბამ, - მინდა ყურადღება მიაქციოთ ერთ ღარიბ ოჯახს

აქვე, თქვენს ქუჩაზე. მამა გარდაიცვალა, დედა ავადმყო-  
ფობის გამო ვერ მუშაობს, ცხრა ბავშვი შიმშილით კვლე-  
ბა, გარდა ამისა, მათ ქუჩაში გაყრიან, თუ ვინმე არ გადა-  
უხდის ბინის ქირას, ეს არც ისე ბევრია, სულ რაღაც  
ათი-თორმეტი გირვანქა სტერლინგი იქნება.

- რა საშინელებაა! - შეშფოთდა ქალი, - საბრალო  
ბავშვები! ხომ ვერ მეტყვიით, თქვენ ვინ ბრძანდებით?
- გულშემატკივარმა სტუმარმა ცხვირსახოცი მიიტანა  
თვალებთან და ქალს სლუკუნით აუწყა:
- მე იმ სახლის პატრონი გახლავართ, ქალბატონო!

\*\*\*

ასალბაზრდა ჟურნალისტი ერთ მდიდარ  
მოხუც ვაჭართან ინტერვიუს ასადებად გაგზავნეს. ვაჭე-  
თის რედაქციას აინტერესებდა გაეგო, როგორ მოახერხა  
ვაჭარმა ამოდენა სიმდიდრის დაგროვება.

- ოჰ, ეს გრძელი ამბავია, - წამოიძახა მოხუცმა, -  
ამის მოყოლას დიდი დრო დასჭირდება, ჰოდა, სანთელი  
ტყუილებრალოდ რატომ უნდა დაიწვას? მე და თქვენ სი-  
ბნელეშიც კარგად მოვახერხებთ საუბარს. - ეს თქვა, სან-  
თელს სული შეუბერა და ჩააქრო.
- თავს ნულა შეიწუხებთ მოყოლით, - უთხრა მო-  
ხუცს ჟურნალისტმა, - ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

ინგლისურიდან თარგმნა  
ნანა ჯარიაშვილმა

ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ ქელები მიცვალებულის სულის პატივსაცემად გამართული ბანკეტი არის და სხვა არაფერი. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა ან როგორ განმარტავდა მას საბა თავის ლექსიკონში, მაგრამ გურიასი ქელები ბევრ რამეს ნიშნავს.

თითქოს მიქელ-გაბრიელს ამის შესახებ სპეციალური დადგენილება ჰქონდეს გამოტანილი, ადამიანები რატომღაც უფრო ხშირად ნაშუაღამევს კვდებიან. ასე მოუვიდა ალათი ბებიასაც.

მე მაშინ სოფელში ვიყავი და დავესწარი მის დასაფლავებას.

— რა მოუვიდა, ბიკენტი, რითი მოკვდა საწყალი ალათი? — ვკითხე დასაფლავებაზე ჩემთან ერთად მომავალ მეზობელს.

— არაფრით, დაეძინა და აღარ გამოუღვიძია.

— ესე იგი, მისით მოკვდა?

— არა, ცოტა ექიმებიც ქე წევხმარენ.

ეზოს რომ მიუხაზლოვდით და ალაგზე ფეხი შევღვით, ალათისთან ერთად ჩვენც შეგვიცხადეს:

— დიდუ, ალათი! ადექი, შე უბედურო, ადექი და შეხედე, ვინ მევიდააააა!..

ალათი ბებია სრულებითაც არ დაინტერესებულა ჩვენი ვინაობით და არ ამდგარა. ეზოს მოტირალთა ახალი გუნდი მიუხაზლოვდა და ჭიშკართან შექუჩდა.

— ნინიჩკა შეჩვენებულო, გეიშალე აწი თმა და იკივლე! — შეასხენა ვილაცამ.

— უი, უი! ამას რას მევესწარი, ალათიიიი!.. ვიდან შემომეგებება აწი ეზოში და ვიდან მეტყვის, მოი, ჩემო კრასავიცა ნინიჩკაო?!. არ მჯერა, არა, არ მჯერა, არა მჯერა, არა მჯერაააა!..

— გაჩერდი, ქალო, მაგი ცოცხალი რომ იყო, იგი არ მჯეროდა, თვარა, სიკვდილს რაუა არ ღვეუჯერებ! — გაუჯავრდა ნინიჩკას კაცი, რომელიც აკავებდა.

შევედი ეზოს ხიდრმეში და საქელებო სამზადის დავუწვეე თვალყურის დევნება. უზარმაზარ საარყე ქვაბებში ლობიო დულს და ნერვულობს. ღოში ფშვინავს და იბერება. ფლავი იხრუკება და მოზვერი იხარშება. სამასკაციან სუფრაზე დასვავებულია ყველი, ცოცხალი, სიზილალა, ტარანი, მწვანილი, ვინეგრეტი, მხალი, არაყი, ღვინო, პური, მჭადი, მარილი... მოკლედ, ყველაფერი ის, რაც

ქორწილს ესაჭიროება. პროცესიაზე მოსული გულშემატკივრები კი ხედიანი და მგლოვიარე ხმით ესიტყვებიან ერთმანეთს.

— მერე, მერე, ბესო!

— მერე ვეკითხები, ალათი ბებია, შაინც რამდენი წლის ხარ-მეთქი?! ასალო ჩიყვიანი რომ ფირალად გევიდა, იმ წელს შეორედ გავთხოვდიო.

— კი მარა, ასალო ჩიყვიანი მაგის მეტრიკა ხომ არ იყო?

— მაგას ვერ გეტყვი და, ისე კი იქნებოდა, ცხონებული, მოწიფული ყვავის ხნის.

— ნახე, რაუა ცოცხალი ვარღვივთ წევს, დაძინებული გეგონება!

— ასე იცის გულით სიკვდილმა.

— აბა! ყველაფერს ბედი უნდა!

შივნით ოთახში კი ვილაც დაქინებით სთხოვდა ალათი ბებიას: ადექი, ალათი, გამომელაპარაკე, გასვენებამდე ოთხი საათი დარჩაო!

სხვა ჯგუფს შეუერთდი:

— ისე, დიდი ხარჯი კია ნაქნარი, მიხაკო!

— მაგი ფული და საჭმელი დროზე გამეგზავნა ალათიზა შვილს, ერთ-ორ წელს კილო იცოცხლებდა. თლათ შივიწყებული ჰყავდა, გაჭირვებული!

— ნასტავლი შვილი ჰყავს და მაგენის ამბავი ხო იცი, გულმაგიწყები არიან.

— კილო კაი, ტირილზე ჩამოსვლა რომ არ დაავიწყდა როგორც იქნა, ხალხი შიიპატიყეს სუფრაზე და დაიწყო ქეიფი. ალათი ბიცოლა კი წევს და ელოდება, როდის გაძლება 1000 კაცი. მეხუთე ჭიქაზე ხალხს გული აუჩუყდა:

— მე შინდა მოგიყვეთ ერთი ეპიზოდი ალათი ბებიას ცხოვრებიდან!.. ვის არ ახსოვს ახალგაზრდობაში მოწინავე ჩაის მწველავი ალათი!..

— თურეი ასლა შენ, რაქდენა! შთვრალი ხარ და დაჯექი!

რაქდენა დაჯდა.

— როგორც მოგესხენებათ, ყვავი 300 წელიწადს ცოცხლობს, — დაიწყო მეორემ.

— ვინ შეამოწმა მაგი?!

— როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ადამიანი 300

წელიწადს ცხოვრობს და ვვავმა რა დააშავა?! — აღ-  
შფოთდა ვიღაც.

— ვინაა, კაცო, მაგი?!

— ჩვენი სოფლის ექიმი!

— შერე, ვერ შეირჩენს თავს?

აღათი ბებია კი წევს და ელოდება, როდის გაასვე-  
ნებენს..

მზე უკანასკნელად ჩადის აღათისათვის. ეზოში ღვი-  
ნით გაბრუებული ხალხი დაბორიანობს. ბოლოს ვიღაცას  
გაასხენდა და გამოასვენეს მიცვალებული. დაიწყო დეპე-  
შების კითხვა.

— ამხანაგებო, მოსულია 1004-ზე მეტი დეპეშა. მოს-  
კოვიდან, ლენინგრადიდან, სტალინგრადიდან, კიევიდან,  
ოდესიდან, კრასნოდარიდან, ხარკოვიდან, სევასტოპო-  
ლიდან...

— კი მარა, თბილისიდან არაა?

— სსუ!!!

— დამცურებული ვარტ აგატი ბებიას ტრაგიკული  
დაგუპებით მღუგარე ცრემლიტ ვტირიტ ტკვენტან ერტად  
მაკარი ტარიელი ეპროსინე ვასასი პელოხი  
აბელი პილიძე კსენია კირილე გერონტი  
დომენტი ილარიონ მისაკო ინგოროკები

— გილოცავ გაბედ...

— მოგვეჭრა თავი! ვინ შეიტანა ეს დეპეშა აქ?

— სანამ „გორკა“ დოუძახიათ, შეწვფიტე მაგ დეპეშე-  
ბის კითხვა, თუ ძმა ხარ!


აღათი ბებია კი წევს და ელოდება..

მზე მთლიანად ჩაესვენა. ოფიციალურად დაღამდა.

— კაცო, მისით ხომ არ წავა მკედარი სასაფლაოზე?  
გავასვენოთ აწი!

— რა მოხდა ახლა, იყოს დიღამდე მის საყვარელ  
ოჯახში და ხვალე გავასვენოთ!

— ხვალ გავასვენებ მე შენ! მოკიდე კუბოს ხელი აწიე,  
პო! ამიწვევ ფეხი, ნუ დაპროწიალობ აქეთ-იქით! აბა, ჰე,  
წვევდიო!..



— რამისიმძიმეა, ეს უპატრონო..

ოთხჯერ წაუჩოქეს გზაში კუბოს წამლებებმა აღათი  
ბებიას კუბოს, სამჯერ ამოაგდეს კუბოდან, სამჯერ წაი-  
ხუტეს გულში და სამჯერ ჩაასვენეს ისევ კუბოში, მის  
ლოს, როგორც ბენა, მიიყვანეს სასაფლაოზე.

საფლავს რომ თავზე წაადგნენ და კუბოს ბაწრებით  
უშვებდნენ შიგ, ერთ-ერთი კუბოს წამლები საფლავში  
კისრით გადაეშვა.

— აღათი, არ თქვა, კაციშვილს გული არ დაწვევტი  
ჩემზეო, ხომ ხელავ, რაქდენა საფლავში მოგვეყვება! —  
უკანასკნელად ჩასძახეს აღათი ბებიას და ამით დამთა-  
ვრდა ყველაფერი.

იმ ღამით მე და ჩემი ბაბუა ბუხრისპირას ვიჯექით,  
გვერდით ღვინით სავსე ღოქი გვედგა და ნელ-ნელა  
ვწრუპავდით.

— ამბაკო ბაბუა, რას იტყვი შენ, როგორ მოგწონს  
ჩვენებური ტირილი და ქელები?

— გარდაცვლილს, ჩემო ბაბუა, ტირილი და პატივის-  
ცემა უნდა და მაგი ჩვენზე უკეთესად არავინ იცის, მარა  
ნამეტანი არაფერი არ ვარვა.

— ხომ იქნება კარგი, რომ გადაადღოს ხალხმა ეს ქე-  
ლებები და ამხელა ხარჯები?

— აგაშენა ღმერთმა! მაგი ჩვენ 1913 წელს ქვემო სუ-  
რების მოსახლეობის ყრილობაზე ვთქვით, ქუთაისის მა-  
შინდელ გაზეთ „დილაშიც“ ქე დავწერეთ, მარა ვინ და-  
გიგლო ყური!

— ხომ არ გახსოვს, რა ეწერა იმ გაზეთში?

— მახსოვს კი არა, ზეპირად ვიცი, — თქვა ამბაკო ბა-  
ბუამ და დაიწყო:

— „... ხალხმა დაჰგმო ის უთავბოლო ხარჯები, რომ-  
ლებსაც ეწევა ისედაც სიკვდილისგან დატანჯული ოჯახი.  
მან დაადგინა: ხარჯი გაკეთდეს მხოლოდ შორეული  
სტუმრისა და მოსამსახურე პირთათვის, ხოლო ადგილობ-  
რივ ხალხს კი აეკრძალა ტირილის დღეს მიცვალებულის  
პატრონისას ჭამა. ამის შესახებ შემდგარ პირობაში გა-  
მოყვანილია, რომ ამ დადგენილების დამრღვევი დაჯარი-  
მებულ იქნეს 50 მანეთით“...

— მერე, არ შესრულდა-მაგი პირობა?

— რას ამბობ, ბაბუა, მაგი პირობა რომ შესრულებუ-  
ლიყო, მარტო რაქდენას ჯარიმას ერთი მილიონი მანეთი  
არ ოუთავდებოდა.

— დაააა!..

— მდაააა!..


— ღმერთმა აცხონოს საწყალი აღათი! — თქვა ამბაკო  
ბაბუამ და ჭიქა მომიჯახუნა.

— აცხონოს! — ვთქვი მე და დავლიე.  
თენდებოდა. აღათი ბებიას სახლის ახლომხლო თავ-  
შეკავებული მრავალჯამიერი გუეუნებდა.

# ქართული ხელოვნების მუშაობა



- ხომ ხარ მაგრაღ?  
- კი, მარა ქარის შეშინია, არ წამბაქციოს ეს ნაშიმ-  
შილარი კაცი!



ნან. ნ. სოფელისა

უსიტყვოდ

კოპისკირულად წვიმს ყაზბეგში. ერთ-ერთი სახლის დერეფანში მოხვევებს შეუფარებიათ თავი. სერგაც იქაა, წუხანდელი ნაბახუსევი. წვიმის მილიდან შხულით მოედინება ქაფქაფა წყალი.

- სერგაუ, არ გინდოდა, ვგე ეგ წყალი არაყად იქცეოდეს და შივ თითოი ხინკალი მახვევებოდეს?  
- ხინკალი არ მინდოდა!  
- რაისთვი?  
- არაყს ჭაგუბებდა!..

\* \* \*

ბარდღამ მეჯვარე ძუკუ გააფრთხილა: სიმთვრალეში ტრამბაზი მიევიარს და როცა შევეტობო ხოლმე, მაგრძნობინეო.

- მაგი კი არა, ამას წინათ ათმეტრიანი მელა რომ მოუკალი...

ძუკუმ ჩამოქაჩა ჩოხის კალთა.

- მიედივარ ჩემთვის დიღინ-დიღინით, თოფი მხარზე მაქვს გადაკიდული. უცებ ბურჩებუბიდან არ გამოძვრა რვა-მეტრიანი მელა...

ძუკუმ კვლავ ჩამოქაჩა.

- რომ დავინახე ეს ექვსმეტრიანი მელა...

ძუკუმ კვლავ ჩამოქაჩა.

- ამოვიღე მიზანში ეს ოთხმეტრიანი მელა...

- ჰო! მელა უკუდოდ გინდა დამატოვებინო?

\* \* \*

ონამარნი მოსწავლე თავქუდმოგლეჯილი შევარდა კლასში, მაგრამ მასწავლებელი უკვე იქ დახვდა.

- რანაირად იქცევი შენ? გადი და ისე შემოდი, როგორც მამაშენი შემოდის ხოლმე სახლში!

მოსწავლე გადის.

ცოტა ხნის შემდეგ წიხლნაკრავი კარები კედელს ეხეთქება. თანამოსწავლეები, საყვლოგაღვილი და მხარზე პიჯაკაკადკიდებული ბავშვი ბარბაცით შემოდის და ჩახლენილი ხმით ყვირის:

- არ მელოდით, ხოლმე?!

\* \* \*

თავგატეხილი კაცი ექითან.

- რა მოხდა, რამ გაგიტეხა თავი?

- პამიდორი მომარტყეს.

- პამიდორმა თავი ასე როგორ გაგიტეხა?

- ქილაში იდო, შენი ჭირიმე!

\* \* \*

მრთ კაცს 5.000 მანეთი ვალი ჰქონდა მეგობრისა. მიაკითხა მოვალემ: ძალიან გამიჭირდა, ვალი უნდა დამიბრუნოო. ახლა არა მაქვს, ცოტა ხანს მაცალე და მოგცემო. ორი კვირის შემდეგ ისევ მიაკითხა.

- ორი ათასი მანეთი შენი ფუჭაში იყოს, ხამი ათასი მანეთი მომეცი!

ცოტაც უნდა მაცალაო. შესაშვდ შიაკითხა. ათასი მანეთიც ალალი იყოს შენზე, ორი ათასი მანეთი მაინც მომეციო.

— რა დამაზრნვ, შე კაიკაცო, ხო გიბრუნებ ვალს ნაწილ-ნაწილ, ერთი კვირა კიდევ მაცალე და იმ ორ ათას მანეთსაც (ოჯაშავებო!

\* \* \*

ორი წაპირისპირო მხარეს მიმავალი ტროლეიბუსი გაუსწორდა ერთმანეთს. გაძახილ-გამომახილი:

- რაეა ხარ, თუ იცი?
- რა მიჭირს?! ბილეთი გაქვს?
- არა!
- აღარ ეიღო, აღებუღია შენი ბილეთი!

\* \* \*


ქპცი იღლიეპში ამოდებული თოკით ხის ტოტზე ჰკიღია.

- რას აკეთებ? — ეკითხება გამვლელი.
- ოჯახში გამაბრაზეს და თავს ვიხრჩობ.
- ვერე არ გამოევა, ყულფი უნდა გადაიცვა კისერზე.
- მაგრე ხო სული შამიგუბდება!..

\* \* \*

- ჭიჭიკიე რომ იმაღლებოდა, უპოეათ და დოუჭერიათ.
- შაგენი ოკენეში ხამსას პოულობენ და იჭერენ, ქუთეისში ჭიჭიკიეს პოენას და დაჭერას რა უნდოდა, შე კაცო?!

დამუშავა ალექსი ჭინჭარაშვილი



ნახ. 6 სოლომონ

ქართული  
საბავშვო


უსიტყვოდ



- წებოს ვერ გამომიტან?
- წებო ძვირი დავიჯდება, ძნელი მოსაპარია!

ნახ. X. ლოლუასი  
თემა შ. სინარულიძისა

ცა-ფირუზ, ხმელეთა-ბუნებუთ,  
ჩემო სემშიობე, მხარეთ!



ნახ. ა. აბაშიძისა



შუბნალი „60x60“, № 7 (1881). აბრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.  
შუბნალი რედაქტორი ზაზა ხოლმეძის სახელმძღვანელო კოლეჯი: მურათ აბაშიძე, ქახუა აბაშიძე, ნინო ბარათა, ჩუგო ბუაჩი, ზენა ლომოვი (შატავარ-რედაქტორი), ვანო ლომოვი, ნიკო მადონია, ჩუგო მარჯალიძე, ვანო პეტრიაშვილი, ილიკო ბერიძე, ზაზა ხოლმეძე (შუბნალი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი), მხედო ქალაიაძე, დავა მანგალიძე, ვანო მარჯალიძე, იმანო წიგნაძე, ილიკო ჯანუაშვილი. ტექნიკური რედაქტორი ვიორჯი დუნდუა. გადაეცა ასაწყობად 27. 04. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 05. 07. 93 წ., ქაღალდის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნივთიერება ფურცელი 1, საღრისებო-საგამომცემლო თამბაქო სპეციალური ფურცელი-გამომცემლობა „საშინალო“ სტა. შპა. შუკვ. № 603. ტირაჟი 21.500. ეურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ეურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის ეგსტივის სამინისტროში, რეგისტრაციის № 0606. რედაქციის მისამართი: 000000, ახალციხის-ს, აფხაზელიან ქა. № 62. სელექციური გვარდნილები: 93-49-32, 99-76-69. ინდექსი 78187.